”დინამო” (თბილისი) – ”სპარტაკი” (ორჯონიკიძე) 2:1 (0:0)

მთელი პირველი ტაიმი დინამოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ბევრი იყო კომბინაცია, საგოლე სიტუაციებიც, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში თბილისელი ფორვარდები სცოდავდნენ და სპარტაკელთა კარი პირველი ორმაცდახუთი წუთის განმავლობაში ხელუხლებელი დარჩა.

თამაშის განახლებისას ”დინამომ” ძლიერი იერიშები მიიტანა სტუმართა კარზე. 61-ე წუთზე ყიფიანის სოლო გარღვევა შორეულ კუთხეში ზუსტი დარტყმითა და გოლით დასრულდა - 1:0. 2 წუთის შემდეგ ორჯონიკიძელთა კართან შექმნილი არეულობით კარგად ისარგებლა ჩელებაძემ - 2:0.

ფაქტიურად საქმე მოთავებული იყო, მაგრამ ”სპარტაკმა” შესაშური შეუპოვრობა გამოიჩინა, არ დაყარა ფარ-ხმალი და რამდენიმე საინტერესო კონტრშეტევაც განახორციელა. დაახლოებით შუა ტაიმში ერთ-ერთი მათგანი ჩქარეულის საპასუხო გოლით დამთავრდა - 1:2.

თბილისის ”დინამო” თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (მინაშვილი), გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე (ქორიძე).

ბ. ირემაძე.
”ლელო”, 8 მარტი, 1980 წ.